ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

WORLD BANK GROUP

პრესრელიზი

ფინანსური გამჭვირვალობის შედეგები | კორპორაციული სექტორის კვლევის საშუალებები

ქვეყანაში მიმდინარე აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმამ ბიზნეს გარემო უფრო გამჭვირვალე და სანდო გახადა. ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შექმნილი საინფორმაციო პლატფორმა - reportal.ge (რეპორტალი) - საწარმოების/კორპორატიული სექტორის გამჭვირვალობის ამაღლებას უზრუნველყოფს. რეპორტალი, ასევე, სექტორებისა თუ საწარმოების მიხედვით სტანდარტიზირებულ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს, რომელიც ახალ შესაძლებლობებს ქმნის სხვადასხვა მიმართულებით კვლევების, სტატისტიკური ანალიზის ან სხვა სახის შეფასებების განსახორციელებლად. ყოველივე ეს კი საქართველოს საინვესტიციო გარემოზე აისახება დადებითად.

ფინანსური გამჭვირვალობის სარგებლის დემონსტრირებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით, 2020 წლის 15 ივლისს ონლაინ ღონისძიებას გამართავს.

ღონისძიების ფარგლებში, მოწვეული მხარეები პრეზენტაციებით წარდგებიან და აუდიტორიას, უწყების საინფორმაციო რესურსებზე დაყრდნობით, სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგებს წარუდგენენ. კერძოდ, პრეზენტატორები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ჭრილში მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური მონაცემების გამოყენებაზე ისაუბრებენ.

„საქართველოში უპრეცედენტო მასშტაბის, ევროპულ ოჯახთან დაახლოების რეფორმა მიმდინარეობს, რომელიც, სათანადო ყურადღების და ეფექტური გამოყენების პირობებში, საქართველოს ეკონომიკის ნახტომისებრი განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება გადაიქცეს." - აღნიშნავს **იური დოლიძე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.** „ეს არის ბიზნესის გამჭვირვალობის ხელშემწყობი რეფორმა, რომლის განხორციელებასაც 2016 წლიდან SARAS-ი უზრუნველყოფს. გამჭვირვალე გარემოს შექმნით, რისკენაც მივისწრაფით, საქართველო ბიზნესის წარმოებისთვის გაცილებით სანდო და მიმზიდველ ქვეყანად იქცევა. მოხარული ვარ, რომ დღეს უკვე შესაძლებელია რეფორმის სარგებლის დემონსტრირება და შეფასება."

„ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს აღრიცხვა-ანგარიშგების და აუდიტის საზედამხედველო სისტემის მოწესრიგების ვალდებულება დაეკისრა. ეს ვალდებულება წარმატებით შესრულდა 2016 წელს, როდესაც რეფორმის განხორციელება დაიწყო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებარა," - აცხადებს **სირიე პოდერი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამის ოფიცერი.**

აღნიშნული რეფორმა, რომელიც მიმართულია აღრიცხვიანობის მოწესრიგებასა და ანგარიშგების სანდოობის გაზრდისკენ, აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეკონომიკური ანალიზისა და რიგი ინოვაციური ადმინისტრაციული

ღონისძიებების განსახორციელებლად, რამაც პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და საინვესტიციო გარემოს განვითარებას.

„გვჯერა, რომ SARAS-ის ხელმძღვანელობით მიმდინარე რეფორმა დადებითად იმოქმედებს ბუღალატრულ აღრიცხვაზე, აუდიტსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნების პრაქტიკაზე და გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდაზე. ამასთანავე, იგი დადებით შედეგს მოიტანს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით," - აცხადებს **სებასტიან მოლინეუსი, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში.**

ღონისძიებას ყველა დაინტერესებული მხარე - სახელმწიფო უწყებების, აკადემიური წრეების, ბიზნეს ასოციაციების, კაპიტალის და ფინანსური სექტორის წარმომადგნლები დაესწრებიან.

ღონისძიება ონლაინ პლატფორმა KUDO-ს გამოყენებით გაიმართება. დასასწრები ბმული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის **სოციალურ ქსელში განთავსდება**.

დღის წესრიგის გასაცნობად, **ეწვიეთ ბმულს**.